შუალედური გადაწყვეტილებით დადგენილ ხარვეზთან დაკავშირებით („დარჩენილი სამუშაოები მოინიშნოს მუნიციპალური ინსპექციის წერილის შესაბამისად.“) მოგახსენებთ, რომ მუნიციპალურმა ინსპექციაში ჩაბარებულია 4 ეტაპი მშენებლობის ორგანიზების პროექტის შესაბამისად.

მოპ-ით განსაზღვრულია კარკასის, მზიდი კონსტრუქციებისა და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა 4 ეტაპად (იხ. ეტაპების ჩამონათვალი, მოპ-ის მე5 გვერდზე) ნიშნულების მიხედვით. ხოლო კალენდარული გრაფიკით აღნიშნული ეტაპები გაერთიანებულია სამუშაოთა ჩამონათვალის ერთ პუნქტში.

ვინაიდან კარკასის, მზიდი კონსტრუქციებისა და კიბის უჯრედების ელემენტების მოწყობა თითქმის დასრულებულია, და დარჩენილია მხოლოდ ბოლო სართულზე ლიფტის შახტის ნაწილი, კალენდარულ გრაფიკში აღნიშნული პუნქტი დარჩა იგივე დასახელებით, ხოლო დარჩენილი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, შემცირდა მისთვის განსაზღვრული ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მიიღოთ წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკი და გასცეთ მშენებლობის ნებართვა .